

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ოქტომბერი - დეკემბერი 2023

ცვლილებები მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონში

2023 წლის 28 დეკემბერს მიკრობანკების საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებები ამოქმედდა.

- ▶ მიკრობანკის ლიცენზიის მოსაპოვებლად, ლიცენზიის მადიებელს აღარ ევალება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის („სებ“) თავისი ყველა აქციონერის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარდგენა.
- ▶ მოცემული ვალდებულება შენარჩუნდა მხოლოდ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების, შუალედური მფლობელებისა და ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციაზე.
- ▶ მიკრობანკი, რომელსაც არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი, ვალდებულია, სებ-ს წარუდგინოს საიდენტიფიკაციო ინფორმაცია 20 უმსხვილესი აქციონერის და მათი წილის/აქციების ოდენობისა და ტიპის შესახებ.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#), 28/12/2023.

ცვლილებები მეწარმეთა შესახებ კანონში

2023 წლის 19 დეკემბერს მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებები გამოქვეყნდა.

- ▶ მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის ამოქმედებამდე (2022 წლის 1 იანვრამდე) რეგისტრირებული საწარმოები/ფილიალები ვალდებული იქნებიან, ნაცვლად 2024 წლის იანვრისა, 2025 წლის 1 აპრილამდე მოიყვანონ შესაბამისობაში სარეგისტრაციო მონაცემები კანონის მოთხოვნებთან.
- ▶ ცვლილებების მიხედვით, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საწარმოს/ფილიალს 2026 წლის 1 იანვრამდე შეუჩერდება რეგისტრაცია.
- ▶ რეგისტრაციის შეჩერება გულისხმობს საწარმოს ქონების განკარგვის, საგადასახადო ოპერაციებში მონაწილეობის, საბანკო და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვას.
- ▶ 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ საჯარო რეესტრი საწარმოს/ფილიალს დაუდგენს ხარვეზს და მისცემს 3-თვიან ვადას აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მეწარმის/ფილიალის რეგისტრაცია გაუქმდება.
- ▶ გამონაკლისის სახით, საწარმოს პარტნიორები 2024 წლის 1 მაისიდან შეძლებენ, რეესტრს რეგისტრაციის გაუქმების განცხადებით მიმართონ.
- ▶ ცვლილებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებები კონკურენციის შესახებ კანონში

2023 წლის 11 დეკემბერს კონკურენციის შესახებ კანონში ცვლილებები გამოქვეყნდა.

- ▶ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შეეცვალა დასახელება და ეწოდება - „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო“.
- ▶ კანონის ყოფილი რედაქციით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან დაიშვებოდა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ წინასწარ დადგენილი ჯგუფური გამონაკლისები. აღნიშნულს დაემატა ინდივიდუალური გამონაკლისების კატეგორიაც, რომელსაც განსაზღვრული ვადით ადგენს საქართველოს მთავრობა.
- ▶ სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების შემოწმების ვადა 5-დან 10 სამუშაო დღემდე გაიზარდა.
- ▶ ცვლილებები ითვალისწინებს, რომ კონცენტრაციის მხარე შესაძლოა, არ იყოს ეკონომიკური აგენტი, არამედ ფიზიკური პირი.
- ▶ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარუდგენლობისთვის ფიზიკური პირი 10,000 ლარით დაჯარიმდება.
- ▶ ცვლილებები ძალაში ეტაპობრივად შევა, ხოლო სრულად ამოქმედდება 2024 წლის 1 აპრილიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 11/12/2023.

დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ კანონი

2023 წლის 7 დეკემბერს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ კანონი გამოქვეყნდა.

- ▶ კანონი აწესრიგებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.
- ▶ დემატერიალიზებულად ითვლება ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არსებობს მხოლოდ ანგარიშზე ჩანაწერის სახით და მათზე საკუთრების უფლება დასტურდება სისტემის ამონაწერით.
- ▶ კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე, რომელთაც ფლობენ საქართველოში და განსაზღვრავს მათი მიღების, გაცემისა და ფლობის წესებს.
- ▶ კანონი საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია, რომლის საფუძველზეც 20-ზე მეტი საკანონმდებლო აქტი შეიცვალა, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი, მეწარმეთა შესახებ კანონი და სამოქალაქო კოდექსი.
- ▶ კანონი ეტაპობრივად ამოქმედდება და სრულად ძალაში შევა 2024 წლის 1 მარტიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 07/12/2023.

ცვლილებები დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში

2023 წლის 20 ნოემბერს დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში ცვლილებები გამოქვეყნდა.

- ▶ ცვლილებების შედეგად, საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა, საპენსიო აქტივების მოპოვებისთვის არა მხოლოდ მუდმივი ბინადრობის ნებართვა, არამედ საქართველოს მოქალაქეობაც უნდა დაკარგონ.
- ▶ საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, დამსაქმებელს, საპენსიო შენატანის გაკეთებისთვის ხელფასის გაცემიდან 5 სამუშაო დღე ექნება.
- ▶ სანქციის ახლებური რეჟიმის თანახმად, საპენსიო სააგენტოს მიერ დამსაქმებელზე დაკისრებული ჯარიმა და ვალდებულების შესრულების მოთხოვნა იძულებით აღსრულებას დაექვემდებარება.
- ▶ ცვლილებები ამოქმედდება ეტაპობრივად, ხოლო სრულად ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 20/11/2023.

ცვლილება კომერციული ბანკების კაპიტალის დებულებაში

2023 წლის 20 ნოემბერს კომერციული ბანკების კაპიტალის დებულებაში ცვლილებები გამოქვეყნდა.

- ▶ კომერციული ბანკი ვალდებულია, ძირითადი პირველადი კაპიტალის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტიდან - გაუნაწილებელი მოგებიდან დაქვითოს განჭვრეტადი დივიდენდი.
- ▶ ცვლილებებით ასევე ჩამოყალიბდა დივიდენდის მოცულობის განსაზღვრის მექანიზმიც.
- ▶ განჭვრეტადი დივიდენდი, რომლის გაცემა არ ამცირებს ძირითად პირველად კაპიტალს, არ დაიქვითება ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგებიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 20/11/2023.

ცვლილებები სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესსა და საჯარო რეესტრის ინსტრუქციაში

2023 წლის 23 ოქტომბერს ამოქმედდა ცვლილებები სანოტარო მოქმედებათა წესსა და საჯარო რეესტრის ინსტრუქციაში.

- ▶ თუ გარიგება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას და მისი მხარე წარმოდგენილია უცხო ქვეყანაში გაცემული მინდობილობით ან არის ამხანაგობა, გარიგება სავალდებულოა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ, საჯარო აქტის ფორმით.
- ▶ საჯარო აქტით დამოწმების ვალდებულება ასევე ვრცელდება ცვლილებების ამოქმედებამდე საჯარო რეესტრში დაწყებულ მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოებებზე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 23/10/2023.

[საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 23/10/2023.

ცვლილებები საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონში

2023 წლის 10 ოქტომბერს გამოქვეყნდა ცვლილებები საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონში.

- ▶ ახლებურად დარეგულირდა ექსპერტიზისა და რეგისტრაციის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები.
- ▶ შეიქმნა ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის განაცხადის განმხილველი ეროვნული კომისია.
- ▶ ცვლილების შედეგად, ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა განხორციელდება საქპატენტში რეგისტრაციის, საერთაშორისო შეთანხმების, ან აღიარების საფუძველზე.
- ▶ კანონი ამოქმედდება ეტაპობრივად და სრულად ძალაში შევა 2024 წლის 1 ნოემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 10/10/2023.

SWIFT-ის შეტყობინების სკრინინგის წესი

2023 წლის 10 ოქტომბერს ამოქმედდა მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესი.

- ▶ განისაზღვრა SWIFT შეტყობინებების კატეგორიები, ველები, სკრინინგის განხორციელების პროცესები და შესაბამისი მოთხოვნები.
- ▶ დადგინდა სანქციადაკისრებულ პირთა სია, რომლის მიმართ სავალდებულოა SWIFT შეტყობინების სკრინინგის განხორციელება.
- ▶ კომერციულმა ბანკებმა დადგენილი მოთხოვნები წესის ამოქმედებიდან 4 თვის განმავლობაში უნდა შეასრულონ.

ცვლილებები გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში

2023 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა ცვლილებები ფინანსთა მინისტრის გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში.

- ▶ ცვლილების მიხედვით, ფიზიკური პირი (მათ შორის არარეზიდენტი), რომელიც არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აწვდის ქონებას/აქტივს, ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია წარუდგინოს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.
- ▶ შემუშავდა ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის ფორმა, რომელშიც მიეთითება ქონების/აქტივის სახე, მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, შესყიდვის/მიწოდების ფასი, მიწოდებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი და ა.შ.
- ▶ ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 28/12/2023.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

2023 წლის 27 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები გამოქვეყნდა.

- ▶ ცვლილებები შეეხება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმს - მცირე ბიზნესის სტატუსს. კერძოდ, დაემატება ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტისა და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის ცნებები.
- ▶ ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტისა და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსები პირს მიენიჭება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით.
- ▶ ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტის ან/და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მქონე მცირე ბიზნესის სტატუსის მფლობელ პირს, მცირე ბიზნესის სტატუსი გაუუქმდება თუ მისმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 700,000 ლარს გადააჭარბა.
- ▶ ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 27/12/2023.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

2023 წლის 25 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები გამოქვეყნდა.

- ▶ იცვლება აზარტული და მომგებიანი თამაშობის მოწყობიდან მიღებული შემოსავლის/მოგების დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის სათამაშო აპარატების სალონის მოწყობით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი.
- ▶ აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, აზარტული თამაშობების სისტემურ ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის, იბეგრებოდა სხვაობა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის, ხოლო საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენდა 10%-ს.
- ▶ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გახდა 15%. ამასთან, დაიბეგრებიან ის პირებიც, რომლებიც სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან იღებენ შემოსავალს.
- ▶ ზემოაღნიშნულ აქტივობებში მონაწილე (მოთამაშე) ფიზიკური პირის თამაშობის მომწყობისგან მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა), ნაცვლად აქამდე მოქმედი 2%-იანი განაკვეთისა, დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით.
- ▶ ცვლილებები ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 25/12/2023.

ცვლილებები გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში

2023 წლის 30 ნოემბერს ამოქმედდა ფინანსთა მინისტრის გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში ცვლილებები.

- ▶ იმპორტის დეკლარაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქონლის იმპორტისას გადახდილი/გადასახდელი დღგ-ის ჩათვლა, თუ ეს საქონელი გამოიყენება:
 - ▶ საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისთვის/საქონლის მიწოდებისთვის;
 - ▶ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში; ან
 - ▶ ფინანსური მომსახურებისთვის/ოპერაციისთვის, თუ მომხმარებელი საქართველოს ფარგლების გარეთაა დაფუძნებული ან თუ ეს ოპერაციები უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოდან ექსპორტისთვის გამიზნულ საქონელთან.
- ▶ ცვლილებები ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 30/11/2023.

ცვლილება გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში

2023 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა ცვლილება ფინანსთა მინისტრის გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ბრძანებაში.

- ▶ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, მიღებული მომსახურებისთვის ფულადი ფორმით განხორციელებული ანაზღაურება, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან, ასახოს გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადის დეკლარაციაში, მისი ფაქტობრივად გაცემის საანგარიშო თვის მიხედვით.
- ▶ ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 20/10/2023.

საკონტაქტო ინფორმაცია:



ტატო ჩანტლაძე

პარტნიორი | საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: +995 (32) 215-88-11

Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელი კომპლექსური გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2024 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

<http://www.ey.com/georgia>